

ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება №

ქ. ზუგდიდი

„10“ ოქტომბერი 2016წ.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და პარტნიორ ორგანიზაციას შორის შეთანხმების შესახებ.

წინამდებარე ხელშეკრულებით შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, შემდგომ „სასწავლო უნივერსიტეტად“ წოდებული, წარმოდგენილი რექტორის *თეონა ხუფენიას* სახით, და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური, შემდგომში „პარტნიორად“ წოდებული, წარმოდგენილი სამეგრელოს -ზუგდიდის ბიუროს უფროსის *რომან კვიციას* სახით, ვითვალისწინებთ, რა ორმხრივ ინტერესს, ვთანხმდებით ქვემოთ ჩამოთვლილ პირობებზე.

1. მხარეთა უფლება—მოვალეობები:

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით „სასწავლო უნივერსიტეტი“ და „პარტნიორი“ იღებენ ვალდებულებას, შესაბამისად, ერთი მხრივ, მოამზადონ ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნით გათვალისწინებული შესაბამისი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტი, მეორე მხრივ, ხელი შეუწყონ „სამართლის“ და „საჯარო მმართველობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიღებაში.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1 „სასწავლო უნივერსიტეტი“ საგანმანათლებლო პროგრამების შერჩევასა და ითვალისწინებს შრომის ბაზრისა და კონკრეტულად „პარტნიორის“ მოთხოვნებს.

2.2 „პარტნიორი“ საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით უზრუნველყოფს „სასწავლო უნივერსიტეტის“ სტუდენტთა პროფესიულ პრაქტიკაზე მიღებას წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

3. დამატებითი დებულებები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების განმარტებასა და შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

- 3.2. ხელშეკრულება შედგენლია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
- 3.3 წინამდებარე ხელშეკრულებაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.
- 3.4 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

4. მხარეთა რეკვიზიტები

თეონა ხუფენია

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. 14.

რომან კვიციანი

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის
სამეგრელოს - ზუგდიდის ბიუროს

მისამართი: ზუგდიდი, კოსტვას ქ. 24.

